პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 80 (13762)

ოთხშაბათი, 5 აპრილი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

ДИАД ТАРИЦЛ ДИРСЕУЛИ ШЕСВЕДРА

საიუბილეო ვახტზე

თბილისის შალის საქსოვი ფაბრიკა თავისი არსებობის ექვსიოდე წელს ითვლის. მიუხედავად ამისა, საწარმოს კოლექტივმა უკვე გაითქვა სახელი. მომხმარებელი კმაყოფილია, აქ დამზადებული კოხტა მოხატულობის, გემოვნებით გაფორმებული შალის საბნებით, თავსაფრებითა და სხვა პროდუქციით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან საწარმოს სახელზე ხშირად მოდის მოწონებისა და მადლობის წერილები როგორც კერძო მომხმარებლებისაგან, ისე სავაჭრო ორგანიზაციებიდანაც.

ამიტომ არის, რომ ფაბრიკის კოლექტივი მუდამ ცდილობს განაახლოს თავისი პროდუქცია, აწარმოოს მხოლოდ ისეთი, რომელიც მომხმარებელს მოსწონს. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ წარმოების ამუშავების დღიდან გამოსაშვები პროდუქციის არტიკულებიდან ერთის გარდა ყველა განახლებულია. ამან საშუალება მისცა წარმოებას მინიმუმამდე დაეყვანა წუნდებული პროდუქცია და მოგებით ემუშავნა. თუ შარშან წლის განმავლობაში პროდუქციის რეალიზაციის გეგმის გადაჭარბებით აქ მიიღეს 67 ათასი მანეთი მოგება, წელს ორ თვეში მიიღეს 32,6 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ახლა ფაბრიკის კოლექტივი საიუბილეო შრომითს ვახტზე დგას და წარმატებასაც აღწევს. მარტის გეგმით გათვალისწინებული 27,4 ათასი მეტრის-ნაცვლად ამ თვის 29 რიცხვისათვის გამოშვებულია 30,5 ათასი მეტრი შალის საბნები და თავსაფრები. საბოლოო ანგარიშით პირველი კვარტალის დაცალება ვადამდე 11,5 პროცენტის გადაჭარბებით იქნა შესრულებული.

შრომაში დაწინაურდნენ მქსოველები ნ. ელოშვილი, მ. შეეჩენკო, ქვეოსტატები პ. ნიკოლაიშვილი, გ. ისაევი და სხვები, რომლებიც დღიურ ნორმას 8-10 პროცენტით აჭარბებენ. („კომუნისტის“ კორ.).

სოფელს — საუკეთესო კულტურული მომსახურება

საქართველო ემზადება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის თვითეულმა კოლექტივმა განსაზღვრა საიუბილეო წლის გეგმები. შრომითს ვალდებულებებთან ერთად მშრომელებმა მხურვალედ განიხილეს სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო ღონისძიებები და ამ მხრივაც ახალი ამოცანები დასახეს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისა და სოფლად შემოსავლის ზრდის კვალობაზე იქმნება მტკიცე საფუძველი სოფლის კულტურული ცხოვრების შემდგომი ამაღლებისათვის. ახლა თავარია უფრო გონივრულად გამოვიენოთ ეს შესაძლებლობანი. ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ ადგილობრივმა საბჭოებმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სასაფლო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ აღნიშნულია, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭებიან ამ ამოცანების შესრულებაში, რომელიც სკკპ XXIII ყრილობამ დასახა ეროვნულ და სოციალურ-კულტურული ღონისძიებების, სახელმწიფო საქმეების ფართოში ხალხთა მასების ჩაბმის დარგში.

ახლა, არჩევნების შემდეგ, პარტიის ორგანოებს საბჭოების საქმიანობის ორგანიზაციულ შესახებ განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება. ადგილობრივი საწარმოო ორგანიზაციები განუწყვეტლივ უნდა ეხმარებოდნენ საბჭოებს სოფლად კულტურული ცხოვრების მაღალ დონეზე დაყენების საქმეში.

დღეს საბჭოთა ადამიანები არა მარტო ამაზე ფიქრობენ, რომ კარგი ბინა ჰქონდეთ, მოხდენილად იცვამდნენ. მათ სურთ შრომის შემდეგ კარგადაც დაისვენონ, გაერთონ, სურთ ლამაზი და კეთილმოწყობილი იყოს სოფელი, უბანი, სადაც ისინი ცხოვრობენ, ჰქონდეთ კულტურის სახლი, კლუბი, ბიბლიოთეკა და ნაყოფიერი დასვენებისა და გართობის სხვა აუცილებელი კერები.

სოფლის მშრომელთა შინაარსიანი დასვენებისა და გართობის საქმეში, განსაკუთრებით დიდი როლი აკისრიათ კულტურის ამ კერებს. ისინი მოწოდებული არიან მტკიცედ ამოუდგნენ მხარში პარტიულ ორგანიზაციებს ჩვენი მშრომელების, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში, ყოველმხრივ დაეხმარონ მათ საზოგადოებრივი შრომითი აქტივობის გაძლიერებაში.

ამ ამოცანის შესრულებას სოფლის კულტურის კერები მხოლოდ მაშინ შეძლებენ, თუ მუშაობას ისე მოაწყობენ, რომ მშრომელთა თავშეყრის საყვარელ ადგილებად გადაიქცევიან. ადამიანს მაშინ მიუხარია კულტურის სახლსა და ბიბლიოთეკაში, როცა აქ შინაარსიანი დასვენება ელის — კარგი წიგნები, კონცერტი, წარმოდგენა, საინტერესო ლექცია, სხვადასხვა სპორტული გასართობი.

ამ მიმართულებით მისაბაძ მაგალითებს იძლევიან სიღნაღის რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. აქ ყველა სოფელში მუშაობა სანიმუშოდ არის დაყენებული. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ანაგნისა და ბოდბის სასოფლო ბიბლიოთეკებმა საკავშირო გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. შარშან მოსკოვში სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ მოწყობილ მოწინავე გამოცდილების გამოფენაზე ფართო ადგილი ჰქონდა დათმობილი ზემოთ დასახელებული ბიბლიოთეკების მასალებს. მთელს რაიონში კარგად არის დაყენებული წიგნის პრომაგანდის საქმე. აქ ფართოდ იყენებენ მოძრავ ბიბლიოთეკებს. სულ რაიონში მოქმედებს 320 მოძრავი ბიბლიოთეკა. საკლუბო დაწესებულებებში ხშირად აწყობენ შეხვედრებს მოწინავე ადამიანებთან, მოსახლეობას ფართოდ განუმარტავენ ჩვენი ქვეყნის მიღწევებსა და მომავალ ამოცანებს.

მუშაობის კარგ მაგალითებს გვიჩვენებენ გორის რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. კლუბებსა და კულტურის სახლებში 168 მხატვრული თვითმოქმედების, ზოგადსაგანმანათლებლო და სხვა სახის წრე მუშაობს, სადაც გაერთიანებულია 2.550-ზე მეტი კაცი. მარტო შარშან 512 სპექტაკლი და კონცერტი გამართეს. წაკითხულია 1.500-ზე მეტი ლექცია-მოხსენება. წინა წელთან შედარებით წიგნის ფონდი 18.704 წიგნით გაიზარდა. განსაკუთრებით მისაბაძია ტყვიავის სასოფლო კულტურის სახლის მუშაობა. აქ სისტემატურად უჩვენებენ კინოსურათებს, იკითხება ლექცია-მოხსენებები, მოწყობილია გამოფენები, მოწინავე კოლმეურნეთა სტენდები.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა აგრეთვე კარგად არის დაყენებული ჩხოროწყუს რაიონის კლუბებსა და კულტურის სახლებში.

აღნიშნულ რაიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები კარგად რომ მუშაობენ, ეს იმის შედეგიც არის, რომ რაისაბჭოებისა და სასოფლო საბჭოების აღმასკომები ხშირად განიხილავენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის საკითხს, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლებმა ძირეულად იცვალეს სახე. ახლა ისინი გაჩირაღდნებულია ელჩის ნათურებით, ყოფაცხოვრებაში დიდი ხანია დამკვიდრდა რადიო, უმრავლეს სოფლებში გამორნდა სატელევიზიო ანძები. მაგრამ ჩვენს შრომისმოყვარე ხალხს ახლა არც ეს აკმაყოფილებს. მას სურს უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი იყოს მშობლიური სოფლები. სწორედ ამ გაზრდილი მოთხოვნილების საფუძველზე წარმოიშვა ამ სამი წლის წინათ საბარეჯოლითა ინიციატივა, რომელიც ნათლად გამოიხატა მოწოდებაში — მოუარე, დაამშვენე შენი სოფელი, კარმიდამო. ერთი წლის წინათ კი ბორის, ზუზუნდისა და თელავის მშრომელებმა კიდევ ერთი ახალი პატრიოტული თაოსნობა გამოიჩინეს. მათ გადაწყვიტეს ხუთწლედის მანძილზე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგან სოფლის მცხოვრებთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების სრულად დაკმაყოფილების გზაზე.

საქმე ეხება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მასობრივ მშენებლობას, სოფლებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობას, მშრომელთა დასვენების გონივრულ ორგანიზაციას. საჭიროა დავეხმაროთ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, ახალგაზრდობას გამოიყენონ მინდვრებსა და ფერმებში მუშაობისაგან თავისუფალი დრო სწავლისათვის. პროფესიული ცოდნის გაღრმავებისა და კულტურული ჰორიზონტის გაფართოებისათვის.

ინიციატორებს ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის რაიონები და სოფლები, ფართოდ გაჩაღდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობა. ახლა იშვიათად ნახავთ სოფელს, სადაც რაიმე კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობა არ შენდებოდეს. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ეკონომიურად განმტკიცდნენ, გაიზარდა ფულადი შემოსავალი.

შესაძლებლობა არის. ახლა მთავარია არ შევანელოთ მშენებლობის ფრონტი, ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივი შესაძლებლობანი, ხალხის შრომითი მონაწილეობა. ამით გავაიფუებთ და დავაჩქარებთ მშენებლობას. ამ საქმეში მთავარი როლი უნდა შეასრულონ ადგილობრივმა საბჭოებმა, პარტიულმა და კომკავშრომულმა ორგანიზაციებმა.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ყველგან რიდი ეტყობა უურადღება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სამშენებლო ორგანიზაციები და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სათანადო შესაძლებლობანი აქვთ, მთელ რიგ რაიონებსა და სოფლებში არ სრულდება ასეთი ობიექტების მშენებლობის გეგმები. უფრო მეტიც. ზოგიერთ რაიონში არათუ თვითონ არ ეძებენ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და რემონტისათვის საჭირო სახსრებს, არამედ, პირიქით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებიც ვერ აუთვისებიათ.

დუშეთის რაიონის სოფლების არაგვისპირისა და ხევშას კოლმეურნეობების მესვეურებმა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საბინაო პირობების გაუმჯობესების ნაცვლად ბინები წაართვეს კლუბებს და ბიბლიოთეკებს და ახლა ისინი დაქირავებულ შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული. ხშირია შემთხვევა, როცა სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა გულგრილი დამოკიდებულების შედეგად აუთვისებელი რჩება კაპიტალური რემონტისა და ინვენტარის შეძენისათვის გამოყოფილი თანხები. შარშან არახვეთის სასოფლო ბიბლიოთეკის კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი 400 მანეთი აუთვისებელი დარჩა. ასევე აუთვისებელი დარჩა ამავე რაიონში შარშან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ინვენტარის შესაძენად გამოყოფილი თანხები. სწორედ ამიტომ რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების 90 პროცენტი ინვენტარის ნაკლებობას განიცდის.

საბჭოთა ადამიანის ცხოვრება ლამაზი და შინაარსიანი უნდა იყოს. ქალაქში ცხოვრობს იგი თუ სოფლად, ნაყოფიერი შრომის შემდეგ უნდა შეეძლოს შინაარსიანად დაისვენოს. ამის შესაძლებლობა არის. ახლა მთავარია აეამოქმედოთ ყველა რეზერვი, მაღალ დონეზე დავაყენოთ კულტურული მომსახურება სოფლად.

დრტოა გამარჯვებულებს

რუსთავი. (საკ. კორ.). სანმეშუოდ მოვემზადეროთ მეტალურგებს, ქიმიკოსებს, მშენებლებს, მეცენატეებს — ამ დღეიზით გაჩაღებულ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში რუსთავაკერის სამმართველოს კოლექტივმა. (დირექტორი ო. ანთელავა, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ვ. ბაკაცმლიძე, პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე ნ. წიკლაური) უკვე მოიპოვა პირველი დიდი გამარჯვება. შარშან მეოთხე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით. ამ პირველი ადგილი დაიკავა რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებს შორის და დამსახურებულად მოიპოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ამ დღეებში გამარჯვებულ კოლექტივს საზეიმო ვითარებაში გადაეცა ჯილდო.

ვაჭრობის მუშაკთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში კომუნისტური შრომის მაღაზიის სპატიო სახელი და საქალაქო გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა № 116 მაღაზიამ (დირექტორი ვ. კელენჯერიძე).

სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს აგრეთვე № 6, № 22 და № 36 მაღაზიებმა (დირექტორები მ. ნიკოლაძე, ნ. წიკლაური, გ. ზვიადაძე).

ქართული ბროლი

ჟუმაისი. (საკ. კორ.). ქართულ ბროლს ახლა ბევრი მშრომელის ოჯახში შეხვდებით. ჟუთაისის მინის ტარის ქარხნის ბროლის ნაწარმის საამქრო, რომელსაც შვიდი წლის ისტორია აქვს, სულ უფრო აფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს, აუმჯობესებს მის ხარისხს. ამიტომაც არის, რომ ქარხანას ამ უკანასკნელ წლებში არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია.

ბროლის საამქროს კოლექტივმა, რომელსაც მისი შექმნის დღიდან ინჟინერ-ტექნოლოგი ნინო შათირიშვილი უძღვება, გადამეტებით შეასრულა საიუბილეო წლის სამი თვის დავალება.

ამ უკანასკნელად აქ 10 სხვადასხვა სახის ბროლის ჭურჭლის წარმოება აითვისეს. საიუბილეო წელს მომხმარებელი მიიღებს ქართული ორნამენტით დამშვენებულ, მაღალმხატვრულად შესრულებულ ნაკეთობებს — მურაბისა და კომპოტის კომპლექტებს, ნაყინისა და კონიაკის სასმისებს, ძველებური ქართული ფიალებით დაკომპლექტებულ ბროლის დოქს და სხვა ნაწარმს.

ბროლის საამქრო ფართოვდება. 1 მაისიდან იგი ახლადაგებულ კორპუსში გადავა.

სურათზე: თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეორე საყალიბო საამქროს — კომუნისტური შრომის საამქროს მოწინავეები (მარცხნიდან მარჯვნივ) მეყალიბე-ამწყობი ანზორი კუდოშვილი, ამწყობთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი სერგი კუპრაძე და საამქროს უფროსი ოსტატი ელგუჯა ქავთარაძე.

ფოტო ა. ჭელიძისა.

გულითადი მადლობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა მიიღეს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის იანოშ კადარის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარის იშტვან დობის, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის დიულა კ

„კომუნისტი“

ქალაქის ჟინჟარლიტ!

ქარაგანალი ბიბლიოთეკა

სახალხო კონტროლის გაზეთი №37

ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, ხარისხი! მეტი ყურადღება: მოქჟირნეობას, ყაირათიანობას!

ბევრი, ძალიან ბევრი საზრუნავი აქვთ ახლა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო კონტროლიორებს. ისინი ოქტომბრის საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების წინა ხაზზე არიან.

წინა ხაზზე ყოფნა კი მეტ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას ნიშნავს. წარმოების ეფექტიანობის გადიდება თუ შრომის ნაყოფიერების ზრდა, ტექნიკური დონის ყოველმხრივ ამაღლება და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ყაირათიანობა და მომჭირნეობა, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვა, შრომის სოციალისტური დისციპლინისა და ორგანიზებულობის დანერგვა — აი მთავარი საკითხები, რომლებიც პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებთან ერთად სახალხო კონტროლიორთა ყოველდღიური ყურადღების ცენტრშია.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებმა ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომიდან მეტად სახარგებლო მუშაობა გააჩაღეს ნედლეულის, მასალებისა და ფულადი სახსრების ეკონომიურად და მომჭირნეობით ხარჯვისათვის. ამ მოძრაობის შედეგად, რომელშიც ფართოდ ჩაებეს მშრომელთა აქტივი, ბევრ საწარმოში, მეურნეობაში, კოლმეურნეობაში, სამშენებლო თუ სავაჭრო ორგანიზაციაში დიდძალი ნედლეული, მასალები და თანხები დაიზოგა.

ხალხის მოთხოვნილებათა განუხრელად დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა მიაჩნიათ რა თავიანთ დიდ და საპატიო საქმედ, სახალხო კონტროლიორები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ფართო მოხმარების საგნების წარმოების შემდგომი გადიდებისა და მათი ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესებისათვისაც.

ამ გვერდში მოთავსებული წერილები სწორედ მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გაუმჯობესებისათვის სახალხო კონტროლიორთა მუშაობის ცალკეულ მაგალითებზე მოგვითხრობენ.

ᲐᲗᲐᲡᲔᲒᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ

ᲛᲝᲛᲖᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ!

ეს იყო შარშან, შემოდგომაზე... ცუდ გუნებაზე დადგნენ ქალის ფეხსაცმლის შეკეთებაზე ერთ-ერთ საამქროს მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები. საამქროს უფროსთან ერთად განსაკუთრებით აღელვებული იყო უბნის ოსტატი, სახალხო კონტროლის საგუშაგოს ხელმძღვანელი გოგი კაჯილაშვილი.

— კვლავ წუნი! ხუმრობა ხომ არ არის, ქალაქ ორჯონიკიძიდან ოთხასამდე წყვილი დაწუნებული ქალის ტუფლი დაგვიბრუნეს. მერე რისთვის? ისევ ამ წყეული ქუსლების გამო, — უკვე მერამდენად ამბობდა ამ სიტყვებს და თან დაღვრემილ თანამოსაქმეებს გადახედავდა ხოლმე.

რა ვიღონოთ, როგორ მოვიქცეთ, რომ მომხმარებელმა ჩვენი ნახელავი მოიწონოს? — აი პრობლემა, რომელიც ამ საამქროში ჯერჯერობით გადაუჭრელი რჩებოდა.

სახალხო კონტროლიორებმა, რომლებიც საწარმოში ბევრი კარგი საქმის ინიციატორები არიან, მოითათბირეს ფაბრიკის ხელმძღვანელებთან, საამქროს უფროსთან, პარტიულ ორგანიზაციასთან. გადაწყდა დახმარებისათვის არმავირის ქარხნისათვის მიგვმართა.

რა დასამალავია, ჩვენს ქარხანაში დამზადებული ქალის ფეხსაცმლის ქუსლები მარილაც უხარისხო იყო, ხშირად იგი ერთხელ ჩაცმითაც იმტვრეოდა. აღელვებულ მოხმარებლებს არაერთხელ აუტანია დავა ჩვენი ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკებთან. არმავირის ქარხანა კი საუკეთესო კაბრონის ქუსლებს უშვებს. ისინი ხანგამძლეც არის და ლამაზიც. სწორედ ამიტომ შეგუკეთეთ არმავირელებს ჩვენი ფაბრიკისათვის კაბრონის ქუსლები და მისი ზეკუსლები დაემზადებინათ.

ასე გადაიჭრა ეს მტკივნეული საკითხი, რამაც საგრძნობლად შეამცირა წუნი და რეკლამაციები.

ასეთი მტკივნეული საკითხები კი, უარყოფით გაჯერნას რომ ამდენენ პროდუქციის წარმოების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე, ჩვენთან ცოტა რიდი იყო. ზოგიერთი მეხანაგი ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება. სწორედ სახალხო კონტროლიორებს, რომელთა რიცხვი ფაბრიკაში ახლა ასამდეა და ისინი საწარმოს დირექციის, პარტბიუროსა და საამქრო პარტიული ორგანიზაციის აქტიურ დასაყრდენ ძალას წარმოადგენენ, კარგად ესმით თავიანთი საპატიო მოვალეობა.

ჩვენი ფაბრიკა ფართო მოხმარების საგანს — ფეხსაცმელს უშვებს. კარგად ვიცით, რომ უშუალოდ ხალხ გვაქვს ადამიანებთან, რომელთა განწყობილებაზე გავლენას ახდენს ჩვენი ნახელავიც.

შარშანდელი მუშაობით კი ჩვენ ბევრს ვერაფერს დავიკვეხნით. სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, პროდუქციის გამოშვების გეგმებიც ვერ შევასრულეთ — 293 ათასი წყვილის ნაცვლად მხოლოდ 252.900 წყვილი ფეხსაცმელი გამოვუშვით. რეკლამაციებსა და ჯარიმებს ხომ ბოლო არ უჩანდა.

რაში იყო საქმე? მიზეზად მარტო ის როდი გამოგვადგება, რომ ფეხსაცმლისათვის უხარისხო საზედაპირე ტყავი გვქონდა. მუშაობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საამქროებში ხშირად ირღვეოდა ფეხსაცმლის შეკერვის ტექნოლოგიური პროცესი, ადგილი ჰქონდა ირიშობანას. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ფაბრიკიდან წავიდა კვალიფიციურ მუშათა ერთი ნაწილი.

ამ მდგომარეობამ ღრმად ჩაფიქრა ხელმძღვანელები, კომუნისტები, თვითეული სპეციალისტი და მუშა. სათანადო დასკვნები გაკეთეს სახალხო კონტროლის საფაბრიკო ჯგუფმა და საგუშაგოებმაც.

როგორც კი დაიწყო ახალი წელი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო წელი, რესპუბლიკის სხვა კოლექტივებთან ერთად ჩვენი საწარმოს — თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივიც ოქტომბრის საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება. გადავწყვიტეთ წელს გეგმის გადამეტებით ქვეყანას მივცეთ 15 ათასი წყვილი მამაკაცისა და ქალის ფეხსაცმელი.

და აი მუშაობაც ჟუდად როდი დავიწყეთ. პირველი კვარტალის დავალება გადაჭარბებით გავანაღდეთ. ამასთან მნიშვნელოვნად ამაღლდა ფეხსაცმლის ხარისხიც.

იმ მრავალ ღონისძიებათა განხორციელებაში კი, რამაც განაპირობა უკვე წელს მიღწეული ზოგიერთი წარმატება, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ფაბრიკის სახალხო კონტროლიორები. მაგალითად, მამაკაცის ფეხსაცმლის შემკერავი საამქრო შარშან ორ ცვლად მუშაობდა. სახალხო კონტროლის საგუშაგოს ხელმძღვანელმა ა. მაზმიაშვილმა, წევრებმა შ. ისახანოვმა, ვ. დოლიძემ, ვ. ცოფოლიშვილმა, ა. ბასანელმა, ა. გზირიშვილმა, ნ. ჯანჯღავამ ფაბრიკის ხელმძღვანელებთან, პარტბიუროს წევრებთან დააყენეს საკითხი, რომ საამქრო ერთ ცვლად მუშაობაზე გადასულიყო. მათ თავიანთი მოსაზრება სწორად განმარტეს და დასაბუთეს, რასაც მალე მოჰყვა სათანადო მხარდაჭერა — საამქრო უკვე მეორე თვეა ერთ ცვლად მუშაობს.

როგორია შედეგი? რ ერთი, საგრძნობლად შემცირდა ხელფასი ანი მუშაკების შტატი. თუ ადრე 2 ცვლის უფროსი, 7 ოსტატი და რამდენიმე დამმმარე მუშა იყო, ახლა ამავე საქმეს 1 ცვლის უფროსი და 3 უბნის ოსტატი უძღვება. მნიშვნელოვნად დაიზოგა ელექტროენერგიაც. განმტკიცდა ბრიგადის დისციპლინა. ერთ ცვლად მუშაობისას საამქრო იმაზე მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე ორ ცვლად მუშაობის დროს.

ფაბრიკის სახალხო კონტროლიორთა ინიციატივით წარმოებაში დაინერგა ისეთი საზედაპირე ტყავის გამოყენება, რომელიც წინათ მოდელური ფეხსაცმლისათვის შეუფერებლად მიაჩნდათ. ათვისებულ იქნა მისი დამუშავების ახალი ტექნოლოგია. ამან კარგი ეკონომიური ეფექტი გამოიღო.

ამ ერთი თვის წინათ ჩვენთან აქტიურად გამოხმაურნენ იარსლავლის ფაბრიკა „ფევერროდის“ სახალხო კონტროლიორთა ინიციატივას — დაზოგილი ტყავ-მასალის ხარჯზე დამატებით 100 ათასი წყვილი ფეხსაცმლის გამოშვებას. ჩვენი ფაბრიკის სახალხო კონტროლიორებმა ვალდებულება იკისრეს ტყავ-მასალების ეკონომიით წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1.500 წყვილი მოდელური ფეხსაცმელი.

მაგრამ რაც გაკეთდა, ჯერ კიდევ ცოტაა. ფაბრიკის კომუნისტებს, სახალხო კონტროლიორებს, მთელ კოლექტივს წინ დიდი საქმეა გვაქვს. მომხმარებელი ჩვენგან მოელის მეტ, სანგამძლე და მაღალხარისხოვან ფეხსაცმელს.

ა. ᲥᲕᲚᲘᲕᲘᲫᲔ,
თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის მოადგილე, სახალხო კონტროლის საფაბრიკო ჯგუფის თავმჯდომარე.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ — ᲒᲔᲛᲠᲘᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ ლუდის ქარხანა ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა სამხრეთ ოსეთში. მის პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა ჩვენი რესპუბლიკის ბევრ რაიონში. ჯერ კიდევ 1963 წელს ქარხანამ პროდუქციის წარმოების გადიდების მიზნით შეიძინა მოწყობილობა ჩამოსასხმელი საამქროსათვის, მაგრამ ძვირფასი მანქანები მონტაჟის დაგვიანების გამო კარგახანს გამოუყენებელი იყო. ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფმა ვლ. ალბოროვის, სვეტლანა მაგაევას, ლეილა გორაშვილის, მერი გაზიევის, სერგო გაბარაევისა და სხვათა შეჯადგენლობით შეამოწმა მდგომარეობა და საკითხი აღნიშნული მოწყობილობის დროულად დამონტაჟების მიზნით „საქმინხილწყლების“ ტრესტის წინაშე დააყენა. შედეგად ქარხანაში შეიქმნა ახალი ავტომატური ხაზი ცვლაში 21 ათასი ბოთლის სიმძლავრისა, რამაც სამჯერ გაზარდა შრომის ნაყოფიერება. ქარხნის სახალხო კონტროლიორთა ჯგუფის წინადადებით მექანიზებულ იქნა ნედლეულის, აგრეთვე სხვა მასალების გადმოტვირთვისა და ადგილზე მიტანის სამუშაოები, რის შედეგადაც შრომის ნაყოფიერება 16,3 პროცენტით გაიზარდა. კონტროლის ჯგუფის უშუალო ჩარევით ქარხანამ დაზოგა 60 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია და 135 ტონა სათბობი, რის ანგარიშზეც აქ დამატებით გამოუშვეს 34.400 დეკალიტრი ლუდი და 14 ათასი დეკალიტრი უალკოჰოლო სასმელები. ბევრად გაუჯობესდა პროდუქციის ხარისხიც.

ქარხნის კოლექტივმა ახალი ძალით გააჩაღა სოციალისტური შეჯიბრება, რათა სასახელო მაჩვენებლებით შეხვდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

სახალხო კონტროლიორები ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის მაგალითებს იძლევიან.

Ი. ᲗᲝᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲣᲧᲐᲘᲠᲐᲗᲝᲜᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ

ათგრამიანი ხრახნი და ტონა ბურბუშელა.



საწვავის ხარჯვის „ახალი მეთოდი“. მხატვარი ი. ჭოქიაშვილი.

ᲐᲗᲐᲡᲔᲒᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ

საბოთა აჭარის თითქმის თითოსტმეტი ათასი სახალხო კონტროლიორი მონაწილეობას ღებულობს ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში. ამ საქმეში ისინი იყენებენ მუშაობის სხვადასხვა ფორმასა და მეთოდს. სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე ფართო გავრცელება ჰპოვა ეკონომიისა და მომჭირნეობის საქმის მასობრივმა დათვალიერებამ. ეწყობა კონკურსები საუკეთესო რაციონალიზატორული წინადადებებისათვის წარმოების ეკონომიური ეფექტიანობის ასამაღლებლად, აგრეთვე რეიდები, შემოწმებები მატერიალური და შრომითი რესურსების გონივრულად გამოყენების უზრუნველსაყოფად. ფართოდ არის გამოყენებული თვალსაჩინოება.

საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში საზოგადოებრივი დათვალიერებისათვის შექმნილია კომისიები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები. მათი მოადგილეები კი არიან სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეები. შექმნილია აგრეთვე საქალაქო, რაიონული და სოფლის დამთვალიერებელი კომისიები. დათვალიერების მონაწილეთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.

სახალხო კონტროლის ორგანოებმა პარტიული ორგანიზაციების მხარდაჭერითა და ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწიეს ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის ეკონომიური ხარჯვის, მოწყობილობის, მანქანებისა და მექანიზმების გამოყენების გაუმჯობესების, არასაწარმოო ხარჯების, სხვადასხვა დანაკარგებისა და წუნის შემცირებისათვის.

გასული წლის სექტემბრის პირველ ნახევარში აჭარის სამრეწველო საწარმოებში, უწყებებსა და ორგანიზაციებში დაიწყო ყაირათიანობისა და მომჭირნეობის მასობრივი დათვალიერება, რომლის დროს მარტო ქალაქ ბათუმში გაწეულ იქნა 410 ათასი მანეთის მატერიალური, შრომითი და ფულადი სახსრების ეკონომია.

გემთსამშენებლო ქარხნის კოლექტივი (დირექტორი პ. ჯორბენაძე) აქტიურად მონაწილეობს მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებაში. უკანასკნელ ხანებში აქ 46 რაციონალიზატორული წინადადება შევიდა. მათი განხორციელებით საწარმომ 20.380 მანეთი დაზოგა. გაწეულ იქნა აგრეთვე 157 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგიის, 54 ტონა სათბობისა და 2,1 ტონა ფერადი ლითონის ეკონომია.

ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში სახალხო კონტროლიორთა წინადადებით დაინერგა ფურცლოვანი მასალის გამოჭრის რაციონალური მეთოდი, შემცირებულ იქნა ელექტროენერგიის დეტალების სახარატო დამუშავების მოსამზადებელი და დასკვნითი ოპერაციების ხანგრძლივობა. დამთვალიერებელი კომისიის წინადადებით საამქროში დამონტაჟდა ქარხნის ტერიტორიაზე გამოუყენებლად მდგომი საწნეხი. ამან უზრუნველყო მეშტამპეთა შეუფერხებელი მუშაობა შეკუმშული ჰაერის უქონლობის დროს. დათვალიერების მსვლელობაში ქარხანამ 7.190 მანეთი ეკონომია მიიღო.

ცენტრალური გადასატვირთავი ნავთობბაზისა და ბამბუკის ფაბრიკის სახალხო კონტროლიორებმა სპეციალისტებისა და შრომის ნოვატორების აქტიური მონაწილეობით მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს დანაკარგების შემცირებისა და ტექნოლოგიური რეჟიმის გაუმჯობესების მიზნით. ამ საწარმოებში მომჭირნეობის საზოგადოებრივი დათვალიერების დროს დაიზოგა 18 ათასი მანეთი.

ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიისა და ფულადი სახსრების მომჭირნეობით ხარჯვის გზების ძიება კარგად არის დაყენებული ბათუმის ნავთობგადასატვირთავი საფუძველს უყრიან მიმდინარე წლის უხვ მოსავალს.

ყაირათიანობისა და მომჭირნეობის მასობრივი დათვალიერება გვიჩვენებს, რომ ყველგან არის რეზერვები, მაგრამ ზოგან ამ საქმისადმი უყურადღებობას იჩენენ.

ბათუმის ელექტროტექნიკურ ქარხანაში მარტო გასული წლის ათ თვეში გამოშვებული სარეცხი მანქანების დამზადებაზე მიჩქმალეს 17 ტონა უჟანგავი ფოლადის გადახარჯვა. აქვე ამავე პერიოდში არაეკონომიური გაბარიტებისა და არარაციონალურად გამოჭრილი ფურცლების გამოყენების, აგრეთვე წუნის გამო გადახარჯეს 118 ტონა ფურცლოვანი უჟანგავი ფოლადი, ამავე დროს გამოუყენებელი ნარჩენები თითქმის ერთიორად გადიდდა და მან 136 ტონა შეადგინა. მარტო სარეცხი მანქანის ფსკერისა და ავზის ცილინდრების წუნზე 18 ტონა ლითონი დაიხარჯა. ქარხნის ადმინისტრაციამ, იმის ნაცვლად, რომ წუნის მიზეზები დაედგინა, ლითონი აქტით ჩამოწერა. ამ საწარმოში უჟანგავი ფოლადის უყაირათოდ ხარჯვის ფაქტები ყურადღებიდან გამორჩა სახალხო კონტროლის ჯგუფს, ხოლო მისმა ყოფილმა თავმჯდომარემ მანჯგალაძემ არათუ არ გამოიყენა ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის უფლებამოსილება, არამედ ლითონის ჩამოწერის თაობაზე უსაფუძვლო აქტის შედგენის თანამონაწილე გახდა და ურიგდებოდა აშკარად დეფექტურ მზა პროდუქციას.

ეს საკითხი სახალხო კონტროლის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მსჯელობის საგანი გახდა. დამნაშავეების მიმართ მიღებულ იქნა მკაცრი ზომები. სწორად მოიქცნენ ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრები, როცა მანჯგალაძე ჯგუფის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მასალების დიდ დანაკარგებს იწვევს მისი მიწოდების საქმის უწესრიგობაც. ზოგჯერ საწარმოები მიმწოდებლებიდან იღებენ უსტანდარტო და უხარისხო მასალებს. ამ საკითხს დათვალიერების მსვლელობისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

საჭიროა სახალხო ქონების ეკონომიურად ხარჯვის საქმეში ამაღლდეს მშრომელთა მატერიალური დაინტერესება, უფრო სრულყოფილად ამოქმედდეს მომჭირნეობის რეჟიმის უმკაცრესი დაცვის ყველა საშუალება. სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებმა შესაბამის სამინისტროებთან ერთად უნდა შეიმუშაონ და დანერგონ ეფექტური ღონისძიებანი იმ მუშებისა და სპეციალისტების მატერიალური წახალისებისათვის, რომლებიც ლითონის, მასალებისა და ფულადი სახსრების ეკონომიას აღწევენ.

სულ უფრო ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. შეჯიბრებაში ჩაბმულთა ვალდებულების ერთ-ერთი მთავარი მუხლია ყაირათიანობისა და მომჭირნეობისათვის ბრძოლა. დავეხმაროთ პარტიულ ორგანიზაციებს ჩაუნერგონ თვითეულ მშრომელს სახალხო დოვლათისადმი მზრუნველი, მომჭირნე დამოკიდებულება — ამაში ხედავენ ჩვენი სახალხო კონტროლიორები თავიანთი უმნიშვნელოვანეს მოვალეობას.

ა. ᲐᲜᲗᲘᲐᲫᲔ,
აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე.

ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ!

ეს იყო შარშან, შემოდგომაზე... ცუდ გუნებაზე დადგნენ ქალის ფეხსაცმლის შეკერავი საამქროს მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები. საამქროს უფროსთან ერთად განსაკუთრებით აღელვებული იყო უბნის ოსტატი, სახალხო კონტროლის საგუშაგოს ხელმძღვანელი გოგი კაჯილაშვილი.

— კვლავ წუნი! ხუმრობა ხომ არ არის, ქალაქ ორჯონიკიძიდან ოთხასამდე წყვილი დაწუნებული ქალის ტუფლი დაგვიბრუნეს. მერე რისთვის? ისევ ამ წყეული ქუსლების გამო, — უკვე მერამდენად ამბობდა ამ სიტყვებს და თან დაღვრემილ თანამოსაქმეებს გადახედავდა ხოლმე.

რა ვიღონოთ, როგორ მოვიქცეთ, რომ მომხმარებელმა ჩვენი ნახელავი მოიწონოს? — აი პრობლემა, რომელიც ამ საამქროში ჯერჯერობით გადაუჭრელი რჩებოდა.

სახალხო კონტროლიორებმა, რომლებიც საწარმოში ბევრი კარგი საქმის ინიციატორები არიან, მოითათბირეს ფაბრიკის ხელმძღვანელებთან, საამქროს უფროსთან, პარტიულ ორგანიზაციასთან. გადაწყდა დახმარებისათვის არმავირის ქარხნისათვის მიგვმართა.

რა დასამალავია, ჩვენს ქარხანაში დამზადებული ქალის ფეხსაცმლის ქუსლები მარილაც უხარისხო იყო, ხშირად იგი ერთხელ ჩაცმითაც იმტვრეოდა. აღელვებულ მოხმარებლებს არაერთხელ აუტანია დავა ჩვენი ტექნიკური კონტროლის განყოფილების მუშაკებთან. არმავირის ქარხანა კი საუკეთესო კაბრონის ქუსლებს უშვებს. ისინი ხანგამძლეც არის და ლამაზიც. სწორედ ამიტომ შეგუკეთეთ არმავირელებს ჩვენი ფაბრიკისათვის კაბრონის ქუსლები და მისი ზეკუსლები დაემზადებინათ.

ასე გადაიჭრა ეს მტკივნეული საკითხი, რამაც საგრძნობლად შეამცირა წუნი და რეკლამაციები.

ასეთი მტკივნეული საკითხები კი, უარყოფით გაჯერნას რომ ამდენენ პროდუქციის წარმოების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებაზე, ჩვენთან ცოტა რიდი იყო. ზოგიერთი მეხანაგი ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება. სწორედ სახალხო კონტროლიორებს, რომელთა რიცხვი ფაბრიკაში ახლა ასამდეა და ისინი საწარმოს დირექციის, პარტბიუროსა და საამქრო პარტიული ორგანიზაციის აქტიურ დასაყრდენ ძალას წარმოადგენენ, კარგად ესმით თავიანთი საპატიო მოვალეობა.

ჩვენი ფაბრიკა ფართო მოხმარების საგანს — ფეხსაცმელს უშვებს. კარგად ვიცით, რომ უშუალოდ ხალხ გვაქვს ადამიანებთან, რომელთა განწყობილებაზე გავლენას ახდენს ჩვენი ნახელავიც.

შარშანდელი მუშაობით კი ჩვენ ბევრს ვერაფერს დავიკვეხნით. სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, პროდუქციის გამოშვების გეგმებიც ვერ შევასრულეთ — 293 ათასი წყვილის ნაცვლად მხოლოდ 252.900 წყვილი ფეხსაცმელი გამოვუშვით. რეკლამაციებსა და ჯარიმებს ხომ ბოლო არ უჩანდა.

რაში იყო საქმე? მიზეზად მარტო ის როდი გამოგვადგება, რომ ფეხსაცმლისათვის უხარისხო საზედაპირე ტყავი გვქონდა. მუშაობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საამქროებში ხშირად ირღვეოდა ფეხსაცმლის შეკერვის ტექნოლოგიური პროცესი, ადგილი ჰქონდა ირიშობანას. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ფაბრიკიდან წავიდა კვალიფიციურ მუშათა ერთი ნაწილი.

ამ მდგომარეობამ ღრმად ჩაფიქრა ხელმძღვანელები, კომუნისტები, თვითეული სპეციალისტი და მუშა. სათანადო დასკვნები გააკეთეს სახალხო კონტროლის საფაბრიკო ჯგუფმა და საგუშაგოებმაც.

როგორც კი დაიწყო ახალი წელი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო წელი, რესპუბლიკის სხვა კოლექტივებთან ერთად ჩვენი საწარმოს — თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივიც ოქტომბრის საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება. გადავწყვიტეთ წელს გეგმის გადამეტებით ქვეყანას მივცეთ 15 ათასი წყვილი მამაკაცისა და ქალის ფეხსაცმელი.

და აი მუშაობაც ჟუდად როდი დავიწყეთ. პირველი კვარტალის დავალება გადაჭარბებით გავანაღდეთ. ამასთან მნიშვნელოვნად ამაღლდა ფეხსაცმლის ხარისხიც.

იმ მრავალ ღონისძიებათა განხორციელებაში კი, რამაც განაპირობა უკვე წელს მიღწეული ზოგიერთი წარმატება, აქტიურ მონაწილეობას იღებენ ფაბრიკის სახალხო კონტროლიორები. მაგალითად, მამაკაცის ფეხსაცმლის შემკერავი საამქრო შარშან ორ ცვლად მუშაობდა. სახალხო კონტროლის საგუშაგოს ხელმძღვანელმა ა. მაზმიაშვილმა, წევრებმა შ. ისახანოვმა, ვ. დოლიძემ, ვ. ცოფოლიშვილმა, ა. ბასანელმა, ა. გზირიშვილმა, ნ. ჯანჯღავამ ფაბრიკის ხელმძღვანელებთან, პარტბიუროს წევრებთან დააყენეს საკითხი, რომ საამქრო ერთ ცვლად მუშაობაზე გადასულიყო. მათ თავიანთი მოსაზრება სწორად განმარტეს და დასაბუთეს, რასაც მალე მოჰყვა სათანადო მხარდაჭერა — საამქრო უკვე მეორეთე თვეა ერთ ცვლად მუშაობს.

როგორია შედეგი? რ ერთი, საგრძნობლად შემცირდა ხელფასი ანი მუშაკების შტატი. თუ ადრე 2 ცვლის უფროსი, 7 ოსტატი და რამდენიმე დამმმარე მუშა იყო, ახლა იმავე საქმეს 1 ცვლის უფროსი და 3 უბნის ოსტატი უძღვება. მნიშვნელოვნად დაიზოგა ელექტროენერგიაც. განმტკიცდა ბრიგადის დისციპლინა. ერთ ცვლად მუშაობისას საამქრო იმაზე მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე ორ ცვლად მუშაობის დროს.

ფაბრიკის სახალხო კონტროლიორთა ინიციატივით წარმოებაში დაინერგა ისეთი საზედაპირე ტყავის გამოყენება, რომელიც წინათ მოდელური ფეხსაცმლისათვის შეუფერებლად მიაჩნდათ. ათვისებულ იქნა მისი დამუშავების ახალი ტექნოლოგია. ამან კარგი ეკონომიური ეფექტი გამოიღო.

ამ ერთი თვის წინათ ჩვენთან აქტიურად გამოხმაურნენ იარსლავლის ფაბრიკა „ფევერროდის“ სახალხო კონტროლიორთა ინიციატივას — დაზოგილი ტყავ-მასალების ხარჯზე დამატებით 100 ათასი წყვილი ფეხსაცმლის გამოშვებას. ჩვენი ფაბრიკის სახალხო კონტროლიორებმა ვალდებულება იკისრეს ტყავ-მასალების ეკონომიით წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1.500 წყვილი მოდელური ფეხსაცმელი.

მაგრამ რაც გაკეთდა, ჯერ კიდევ ცოტაა. ფაბრიკის კომუნისტებს, სახალხო კონტროლიორებს, მთელ კოლექტივს წინ დიდი საქმეა გვაქვს. მომხმარებელი ჩვენგან მოელის მეტ, სანგამძლე და მაღალხარისხოვან ფეხსაცმელს.

ა. ᲥᲕᲚᲘᲕᲘᲫᲔ,
თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის მოადგილე, სახალხო კონტროლის საფაბრიკო ჯგუფის თავმჯდომარე.

ᲙᲐᲠᲒᲘ, ᲚᲐᲛᲐᲖᲘ, ᲒᲐᲛᲫᲚᲔ

ᲞᲚᲐᲡᲢᲛᲐᲡᲐ სულ უფრო და უფრო მტკიცედ მკვიდრდება ჩვენს ყოფაცხოვრებაში. სწორედ ამიტომ თბილისის პლასტმასის ნაწარმის ფაბრიკაში სიახლის დანერგვას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამ დღეებში აქ ახალი სახის სხვადასხვა საგალანტერეო ნაკეთობათა ათვისებაც დაიწყეს.

საწარმოდან ყოველდღიურად მოდის მომხმარებლებისათვის განკუთვნილი მუშამბა, ფეროვანი პლასტიკი, საყვავილე ქოთნები, ავტოკალმისტრები, თეფშები, ღილები, სავარცხლები, ქილები, პლასტმასის ქოშები, ავეჯის სახელურები... მრავალფეროვანია აქ გამოშვებული პროდუქცია.

მთელ კოლექტივთან ერთად სახალხო კონტროლიორები ფართო მოხმარების საქონლის უხვად და ხარისხიანად გამოშვების სული და გული არიან. მოწინავე მუშა ნელი ქართველიშვილი ყოველთვის გადაჭარბებით ახრულებს გეგმას. მისი ნახელავი პროდუქცია სანმეშუ ოა და უზადო. როგორც სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი, იგი მკაცრი მომთხოვნია თავისი თანამშრომლისადმი. კარგი შრომით თანამოსაქმეთა საყვარული დაიმსახურა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ნ. ქართველიშვილი ფაბრიკის კოლექტივმა თბილისის საქალაქო სბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა და არჩეულ იქნა კიდეც.

სახალხო კონტროლიორები კომუნისტები ნ. ჯუღელი, გ. ბენდიანიშვილი, ა. ქურციკიძე საიუბილეო წლის შრომითს ვახტზე დგანან. ისინი სოციალისტურ ვალდებულებებს საქმით ამშვენებენ.

ფაბრიკაში მათ უყაირათობის დაუძინებელ მტრებს ეძახიან.

ერთ-დროს პირველი საამქროს პირველ უბანში ადგილი ჰქონდა ოთახის უხარისხო საყვავილე ქოთნების გამოშვების ფაქტს. სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრებმა ეს საკითხი დირექციის, პარტიული ორგანიზაციის წინაშე დააყენეს. მიღებულ ზომებს კარგი შედეგი მოჰყვა.

ფართო მოხმარების საგნების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბევრს მუშაობენ პირველი საამქროს მესამე უბანშიც. მომჭირნეობითა და ყაირათიანობით ფაბრიკის კოლექტივმა მარტო გასულ წელს სამშობლოს 67 ათასი მანეთის ეკონომია მისცა. დაზოგილი მასალით გამოშვებულია ათეულ ათასობით მანეთის სხვადასხვა ძვირფასი საოჯახო ნივთები.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მთელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა მომართულია იქითკენ, რომ წარმატებით შესრულდეს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად აღებული ვალდებულებები.

მიღწეულით თავს როდი იმშვიდებენ. გეგმიანად, საქმის ღრმა ცოდნით მოქმედებს ფაბრიკის ფიზიკური თვალი და ყური — სახალხო კონტროლის ჯგუფი.

ამას წინათ სახალხო კონტროლიორებმა ფაბრიკის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენეს საკითხი ზოგიერთი მოძველებული დაზგა-დანადგარების შეცვლის შესახებ. ისიც აღნიშნეს, რომ ამის გამო დღემდე ადგილი აქვს ზადიანი პროდუქციის გამოშვების შემთხვევებსაც.

სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრმა, მოწინავე მუშამ ა. ქურციკიძემ განაცხადა:

— მოსახლეობას უფრო მეტ ფართო მოხმარების საგნებს დავუმზადებთ, ჩვენი ფაბრიკა ყოველთვის რიტმულად რომ მარაგდებოდეს.

ნამდვილად საყურადღებო შენიშვნაა. სწორედ ამის გამოც არის, რომ აქ ხშირია იერიშობანა, რაც უხარისხო პროდუქციის გამოშვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზ

საერთაშორისო ცხოვრება

ლრმა თანაგრძნობა

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის საბჭოთა კავშირის მარშალ რ. ი. მალინოვსკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სკკ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღაო ფლოტის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს მოსდით სამძიმრის წერილები და დეპეშები.

სამძიმარი გამოგზავნეს: მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა, უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა და მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებმა, პარტიის საოლქო კომიტეტებმა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოებმა, პარტიის სამხარეო კომიტეტებმა და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო საბჭოებმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტებმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კომიტეტებმა, სამხედრო ოლქების სამხედრო საბჭოებმა, ომის ვეტერანებმა, თადარიგში მყოფმა და სამსახურიდან გადამდგარმა ოფიცრებმა, და გენერლებმა, იმ ჯარისკაცებმა, სერჟანტებმა, ოფიცრებმა და გენერლებმა, რომლებიც დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა კავშირის მარშალ რ. ი. მალინოვსკის სარდლობით მსახურობდნენ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სამდივნომ, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ და სხვა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა პირებმა.

სამძიმარი მიღებულია აგრეთვე სოციალისტური და სხვა საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტური პარტიებისაგან, სოციალისტური და სხვა საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებისაგან, სსრ კავშირში აკრედიტებული უცხოეთის საელჩოებისაგან, სსრ კავშირში აკრედიტებული საელჩოების სამხედრო ატაშეებისაგან, საზღვარგარეთის ქვეყნების სამხედრო მოღვაწეებისა და მომძე სოციალისტური სახელმწიფოების ცალკეული მოქალაქეებისაგან.

საკრძესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-153“

1967 წლის 4 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-153“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 89,3 წუთი; მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 291 კილომეტრი; მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 202 კილომეტრი; ორბიტის დახრილობა — 64,6 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც 19.995 მეგაჰერცი სიხშირით მუშაობს; რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მოწაცემებს ხელსაწყოთა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკორდინაციო-გამთოველითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

სხვადასხვა მერიდიანზე

□ **ჰაბბა, 4 აპრილი. (საკდესი).** მთავრობის კრიზისი, რომელიც დიდხანს გრძელდებოდა პოლანდიაში, გუშინ დამთავრდა ახალი კოალიციური მთავრობის შექმნით. ახალ მთავრობას მეთაურობს თავდაცვის ყოფილი მინისტრი პ. დე ოოხგი.

□ **ბაღდადი, 4 აპრილი.** (საკდესი). ბაღდელ რაჰმან არეფი ,,ალავ აირჩიეს ერაყის პრეზიდენტად. არჩევნები მოეწყო მინისტრთა კაბინეტისა და თავდაცვის ეროვნული საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

□ **ფრიტაუნი, 4 აპრილი. (საკდესი).** ზიერა ლეონეს ეროვნული განახლების საბჭომ გამოაცხადა, რომ გაუქმდა კომენდატის საათი, რომელიც სიერა ლეონეში შემოიღეს 23 მარტს მას შემდეგ, რაც ძალაუფლება ხელთ იგდეს არმიის ოფიცრებმა.

მეგობრულ, გულითად ვითარებაში

სოფია, 3 აპრილი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს პოლონეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი, სოფიაში შეხვდა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ტ. ჟივკოვსა და ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გ. ტრაიკოვს.

როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ბულგარეთისა და პოლონეთის ხელმძღვანელებს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

ბულგარეთ-პოლონეთის ურთიერთობისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში დიდი დამსახურებისათვის ვ. გომულკასა და ი. ცირანკევიჩს მიენიჭათ ბულგარეთის მთავრობის უმაღლესი ჯილდო — გიორგი დიმიტროვის ორდენი. თავის მხრივ, ვ. გომულკამ ტ. ჟივკოვსა და გ. ტრაიკოვს გადასცა პოლონეთის აღორძინების ორდენის დიდი ჯვარი, რომლითაც ბულგარეთის ხელმძღვანელები დაჯილდოებული არიან წვლილისათვის ორი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის საქმეში.

დღეს სოფიაში უაღრესად გულითად ვითარებაში დაიწყო ბულგარეთისა და პოლონეთის პარტიათა და მთავრობათა დელეგაციების საუბრები. პოლონეთის მხრივ საუბრებში მონაწილეობენ ვ. გომულკა, ი. ცირანკევიჩი, ზ. კლიშკო, ა. რაპაკი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი. ბულგარეთის დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ტ. ჟივკოვი, ბ. ველჩევი, ი. მიხაილოვი, ტ. ცოლოვი და ბულგარეთის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი.

ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობაში აღნიშნულია, რომ საუბრები სამ დღეს გახანგრძლივდება, რის შემდეგაც დაიდება ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის.

ინგლისი. საბჭოთა ვერტმფრინავი მი-10, რომელმაც ალიარება ჰპოვა ევროპის ბევრ ქვეყანაში, ამას წინათ ინგლისში იყო. გატვიკის აეროდრომზე, ლონდონის ახლოს, მისი ტვირთამფრენობა უჩვენეს ამ ვერტმფრინავის შეძენით დაინტერესებული ფირმების წარმომადგენლებს. საბჭოთა თვითმფრინავს თავისუფლად შეუძლია გადაიტანოს 25 ტონამდე წონის ტვირთები.
სურათზე: ვერტმფრინავ მი-10-ს ჰაერში აიაქს ავტომუხი გატვიკის აეროდრომიდან.
ფოტო აპ-ასისა.

საბერძნეთის ახალი მთავრობა

ათენი, 3 აპრილი. (საკდესი). აქ გამოაცხადეს, რომ შეიქმნა საბერძნეთის ახალი მთავრობა პარტია ეროვნული რადიკალური კავშირის ლიდერის პ. კანელოპულოსის მეთაურობით. ახალი მთავრობა წარსდგება პარლამენტის წინაშე, რათა ნდობის ვოტუმი მიიღოს. თუ მთავრობას პარლამენტი არ მოიწონებს, საკანონმდებლო კრებას დაითხოვენ და გამოაცხადებენ არჩევნებს.

ახალ მთავრობაში პ. კანელოპულოსს უკავია პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტები, პ. პაპალიგურასს — ეროვნული თავდაცვის მინისტრის პოსტი, ნ. პიპინელისს — კოორდინაციის მინისტრის პოსტი. ახალმა მთავრობამ ფიცი მისცა მეფეს, შემდეგ კი გაიმართა მინისტრთა ახალი კაბინეტის პირველი სხდომა.

მთავრობის კრიზისი

ათენი, 4 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ა. სიომინი იუწყება:

საბერძნეთში პარტია ეროვნული რადიკალური კავშირის ლიდერის კანელოპულოსის მეთაურობით უმცირესობის მთავრობის შექმნამ სხვა პოლიტიკური პარტიების მკვეთრი უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

პარლამენტის ყველაზე დიდი პარტიის „ცენტრის კავშირის“ ლიდერმა გ. პაპანდრეუმ ამ მთავრობის შედგენა დაახასიათა, როგორც „ახალი გადატრიალება“.

გუშინ საღამოს გაიმართა ლიბერალური დემოკრატიული ცენტრის საპარლამენტო ფრაქციის სასწრაფო სხდომა. ფრაქციამ ერთხმად გადაწყვიტა ხმა მისცეს კანელოპულოსის მთავრობისადმი ნდობის წინააღმდეგ.

ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის განცხადებაში ახალი მთავრობის შედგენა დახასიათებულია როგორც „გაღრმავონ პოლიტიკური კრიზისი სახელმწიფოში. ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტია მოითხოვს, რომ კანელოპულოსის მთავრობა გადაგეგს, შეიქმნას „დროებითი მთავრობა“, რომელიც რამდენიმე დღეში მიაღებინებს პარლამენტს კანონპროექტს მარტივი პროპორციული საარჩევნო სისტემის შესახებ და დაწესებულ საკონსტიტუციო ვადებში განაახორციელებს არჩევნებს.

ათენსა და სალონიკში გუშინ საღამოს გაიმართა მიტინგები და დემონსტრაციები, რომელთა მონაწილეებმა უნდობლობა გამოთქვეს კანელოპულოსის მთავრობისადმი. ხელისუფლებამ სამოქმედოდ გაამზადეს პოლიცია და ჟანდარმერია. ათენში სახელმწიფო დაწესებულებათა შენობასთან გამოჩნდა ჯავშნიანი მანქანები, სახანძრო მანქანები, სატვირთო მანქანები ჯარისკაცებიანად.

მიწისძვრა სოფლეში

ბელგრადი, 4 აპრილი. (საკდესი). დღეს დილით სოფლეში მოხდა 6 बალი მიწისძვრა, რომელსაც წინ უძღოდა ყრუ მიწისქვეშა გუგუნი. მიწისძვრამ უმნიშვნელო მატერიალური ზარალი გამოიწვია. ზოგან გაიბზარა კედლები, ზოგიერთ შენობას დაუზიანდა სახურავი.

ეს იყო 633-ე მიწისძვრა 1963 წლის იელისის კატასტროფის შემდეგ.

ჩილის მუნიციპალური არჩევნების შედეგები

სანტიაგო, 4 აპრილი. (საკდესი). ჩილის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა 2 აპრილს გამართული მუნიციპალური არჩევნების საბოლოო შედეგები. ხმები შემდეგნაირად განაწილდა: მმართველი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია — 36,5 პროცენტი, რადიკალური პარტია — 16,5 პროცენტი, კომუნისტური პარტია — 15,4 პროცენტი, ეროვნული პარტია — 14,6 პროცენტი, სოციალისტური პარტია — 14,2 პროცენტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია — 2,5 პროცენტი.

რეგისტრაციაში გატარებული 3 მილიონი ამომრჩევლიდან დაახლოებით 600 ათას კაცს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

მუნიციპალური არჩევნების შედეგები მოულოდნელი იყო მმართველი პარტიისათვის, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ მოაგროვებდა სულ ცოტა ხმების 40 პროცენტს. პარლამენტის არჩევნებში, რომელიც ორი წლის წინათ მოეწყო, მმართველ პარტიას ხმა მისცა ამომრჩეველთა 42,8 პროცენტმა.

ადგილობრივი მეთვალყურენი ამახთანავე ხაზს უსვამენ, რომ გაიზარდა სახალხო მოქმედების ფრონტის გავლენა. ამ ფრონტში შედიან, კერძოდ, კომუნისტური და სოციალისტური პარტიები. ფრონტმა მიიღო ხმების 29,6 პროცენტი და ამრიგად თავისი მნიშვნელობით ჩილის მეორე პოლიტიკური პარტია გახდა.

საბჭოთა დელეგაციის წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 4 აპრილი. (საკდესი). ათი წელიწადია არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კომიტეტი აგრესიის განსაზღვრის საკითხზე. და ათი წელიწადია მას ვერ გადაუწყვეტია დაკისრებული ამოცანა — წარუდგინოს წინადადება გენერალურ ასამბლეას თუ როდის უნდა განაახლოს მუშაობა აგრესიის ცნების განსაზღვრისათვის.

გუშინ საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა წინადადება, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხი განიხილონ გენერალური ასამბლეის მორიგ XXII სესიაზე. ჩვენ უფლება გვაქვს უაღრესად გადაჭრით გავუსვამ ხაზი, თქვა კომიტეტში სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკომ, რომ აგრესიის ცნების ზუსტად განსაზღვრა განსაკუთრებით აქტუალური საკითხია ამჟამად, როცა აგრესიისა და შეიარაღებული ინტერვენციის აქტები საფრთხეს უქმნიან საყოველთაო მშვიდობასა და ხალხთა უშიშროებას.

დაბრკოლებისა და გაჭიანურების ტაქტიკა, განაგრძო ნ. ტ. ფედორენკომ, ხელსაყრელია დასავლეთის სახელმწიფოებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატები შიშობენ, რომ თუ გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა აგრესიის განსაზღვრა, ეს ხელს შეუშლის მათ გააჩაღონ ომი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა და ხალხთა წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა კომიტეტის წევრთა ყურადღება მიაპყრო ვაშინგტონის აგრესიას ვიეტნამში. ამ ქვეყნის გმირ პატრიოტთა წინააღმდეგ, თქვა მან, გაგზავნეს ინტერვენტთა ნახევარმილიონიანი არმია, ავიამზიდები და მძლავრი ბომბდამშენები, ნაპალმი და მომწამვლელი გაზები.

ამავე დროს ნ. ტ. ფედორენკომ აღნიშნა, რომ აგრესია ვიეტნამში შემადგენელი ნაწილია ჯვაროსნული ლაშქრობისა, რაც ამერიკელმა იმპერიალისტებმა გამოაცხადეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წინააღმდეგ.

პროვოკაციულ გამოსდომებს აწყობენ, თქვა მან, ნეიტრალური კამბოჯის წინააღმდეგ. გრძელდება აგრესიული ხრიკები გმირი კუბის წინააღმდეგ. კოლონიალიზმი და რასიზმი აფრიკაში მოქმედებენ, როგორც აგრესორები.

ამერიკის წარმომადგენელი სეიმურ ფინგერი თავის გამოსვლაში ამტკიცებდა, აგრესიის ცნების განსაზღვრა საერთოდ შეუძლებელია და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას „უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვსო“.

საფრანგეთის კომუნისტ-პარლამენტართა პროგრამა

პარიზი, 4 აპრილი. (საკდესი). კომუნისტებმა, ეროვნული კრების დეპუტატებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც გაშუქებულია პოლიტიკური პროგრამა, აღნიშნულია, თუ რა მიზნების მიღწევას ეცდებიან პარლამენტში საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენლენი.

კომუნისტი დეპუტატები, წათქვამია, განცხადებაში, გმობენ ამერიკის დანაშაულებრივ აგრესიას ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ დაუცხრომლად იბრძოლებენ მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის, კოლექტიური უშიშროებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის.

კომპარტიის წარმომადგენლნი ეროვნულ კრებაში შეიტანენ წინადადებებსა და კანონპროექტებს მსხვილი ბანკებისა და სამრეწველო საწარმოების ნაციონალიზაციის შესახებ, განათლების, სპორტის მშენებლობის, მეცნიერული კვლევის საჭიროებისათვის დამატებით ასიგნებათა შესახებ.

ეროვნული კრების წევრი კომუნისტები მხარს დაუჭერენ მშრომელი გლეხობის ბრძოლას წვრილ მეურნეობათა ლიკვიდაციის პოლიტიკის წინააღმდეგ.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა განმტკიცდეს მთელი მემარცხენე ძალების კავშირი, რომელმაც რაც შეიძლება უმოკლეს ვადებში უნდა შეიმუშაოს საერთო სამთავრობო პროგრამა.

ეროვნული კრების შემადგენლობამ და ახალმა ძალთა თანაფარდობამ, ნათქვამია განცხადებაში, საშუალება უნდა მისცეს პარლამენტს უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. რეჟიმის შესუსტება, ენთუზიაზმი, რომელიც წარმოშვა მემარცხენე ძალების წარმატებამ არჩევნებში, ახალ ბიძგს მისცემს ხალხის თვისნობას.

საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარის არჩევნები

პარიზი, 3 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარედ არჩეულია „ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირის“ პარტიის წარმომადგენელი ჟაკ შაბან-დელმასი.

ჟ. შაბან-დელმასმა შეაგროვა 261 ხმა. ეროვნული კრების თავმჯდომარის პოსტის მეორე კანდიდატმა — ფრანგ სოციალისტთა წარმომადგენელმა გასტონ დეფერმა, რომელსაც მხარს უჭერდნენ დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციისა და საფრანგეთის კომპარტიის დეპუტატები, აგრეთვე ზოგიერთი სხვა, მიიღო 214 ხმა.

დაპატიმრება დალასში

ნიუ-იორკი, 4 აპრილი. (საკდესი). გუშინ დალასში (ტეხასის შტატი) დაპატიმრეს სერხიო არკაჩა სმიტი, კუბის საწინააღმდეგო ერთ-ერთი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი.

მისი დაპატიმრების ორდერი გასცა ახალი ორლეანის საოლქო პროკურორმა ჯიმ ჰარისონმა, რომელიც გასაჩივრა პრეზიდენტ ჯონ კენედის გარემოებათა გამოძიების.

სერხიო არკაჩა სმიტი 1963 წელს დალასში გადასვლამდე ცხოვრობდა ახალ ორლეანში და იცნობდა ყოფილ მფრინავს დევიდ ფერის.

თანახმად ჰარისონის ბრალდებებისა, პრეზიდენტი კენედი მოკლეს შეთქმულების შედეგად, რომელშიც მონაწილეობდნენ, კერძოდ, ახალორლეანელი ბიზნესმენი კლეი შოუ, დევიდ ფერი და ოსვალდი.

ახალი ორლეანის საოლქო სასამართლომ მარტის შუა რიცხვებში წინასწარი მოსმენის შემდეგ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ არის საკმაო საფუძველი, რათა დაიწყოს „ინტერნეიშნლ ტრეიდ მარტის“ (ოფილი დირექტორის კლეი შოუს სახელო დევნა.

ჰარისონის თქმით, შემწეებმა წინათ სცადეს დაეკითხა სერხიო არკაჩა სმიტი, მაგრამ გადაჭრით უარი თქვა შეხვედრაზე მათ და განაცხადა, რომ კითხვებზე პასუხს გასცემს მხოლოდ დალასის ხელისუფალთა წარმომადგენლების თანდასწრებით.

ადვოკატმა მარკ ლეინმა, ჰარისონთან შეხვედრებისა და საუბრების შემდეგ, რაც გასულ კვირაში მოხდა, განაცხადა, რომ კენედის მოკვლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კუბელმა კონტრრევოლუციონერებმა. (ლეინმა ეს განცხადება, რომელიც 31 მარტს გადაბეჭდა „ნიუ-იორკ პოსტმა“, გააკეთა სტატიაში კოპენჰაგენის გაზეთ „ექსტრაბლადეტისათვის“ — რედ. შენიშვნა).

აფეთქება ამერიკის სამხედრო საწყობში

ბონი, 4 აპრილი. (საკდესი). გუშინ შიში განეცადეს დასავლეთ გერმანიის ქალაქ ამაფენბურგის (ბავარია) ახლოს მცხოვრებმა, როდესაც ამერიკის სამხედრო საწყობში, რომელიც საცხოვრებელი უბნების ახლოს მდებარეობს, უეცრად დაიწყო საომარი მასალების აფეთქება.

მოგვიანებით გამოირკვა, რომ საწყობის ტერიტორიაზე აფეთქდა ორი ავტომობილის მისაბმელი, რომლებიც დატვირთული იყო ნაღმებითა და ყუმბარებით. აფეთქების შედეგად სერიოზულად დაზიანდა ბევრი შენობა ამაფენბურგსა და ახლომდებარე ქალაქებში— ჰაიბახსა და გოლდბახში. ნამსხვრევებითა და შენობის ნატეხებით დაშავდა სამი კაცი. როგორც დასავლეთ გერმანიის პოლიციამ გამოაცხადა, აფეთქების შედეგად გამოწვეული ზარალი 1 მილიონ მარკას აღემატება.

მიწისქვეშა ტრაგედია

ლონდონი, 4 აპრილი. (საკდესი). თექვსმეტი მეშახტე დაიღუპა კანადის პატარა დაბა ნატალში (პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბია) შახტში მომხდარი აფეთქებისაგან. რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ნატალიდან იუწყება, რომ მიწისქვეშა აფეთქების მიზეზი გაურკვეველია.

შვეიცარიის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ციურიხი, 3 აპრილი (საკდესი). როგორც ადრე გავრცელდა „ფრეიერი“ (ციურიხი 1-ე) ტელეფონებზე გიმბარეს, შვეიცარიის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმის ადგილმდებარეობა ადგილობრივ ედგარ ვო

გი.

პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს ა. მიურის მოხსენება შვეიცარიის მდგომარეობის შესახებ, ჟ. ვენსანის მოხსენება მშვიდობისათვის, ევროპის უშიშროებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესახებ და რ. დაფლონის მოხსენება შვეიცარიაში სოციალური უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა აგრეთვე პარლამენტის არჩევნების მომავალ კამპანიასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები და პრაქტიკული ღონისძიებანი. პარლამენტის არჩევნები გაიმართება ოქტომბერში. პლენუმმა მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი.

მეკოგრეები ვიეტნამის ნაპირებთან

ტოკიო, 4 აპრილი. (საკდესი). 175 სამხედრო ხომალდი, 700 თვითმფრინავი და 75 ათასი მატროსი, ჯარისკაცი და ოფიცერი მონაწილეობს აგრესიაში ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ მარტო ამერიკის მეშვიდე ფლოტის შემადგენლობაში. ვიეტნამის სანაპიროებზე ამ ხომალდებს შორის მოქმედებენ ატომური ავიამზიდი „ენტერპრაიზი“, ატომური კრეისერი „ლონგ ბიჩი“.

ეს მონაცემები გამოაცხადეს გუშინ ამერიკის უდიდეს სამხედრო-საზღვაო ბაზაში, რომელიც იოკოსუკაში (იაპონია) მდებარეობს.

გასული წლის განმავლობაში მეშვიდე ფლოტის ხომალდების ბარტლერიამ ვიეტნამს დაუშინა 90 ათასი ბომბი.

რესპუბლიკელები აფრთხილებენ

ვაშინგტონი, 4 აპრილი. (საკდესი). რესპუბლიკური პარტიის ლიდერებმა განაცხადეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების „ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას „შეიძლება მოაყვეს დეფიციტის მკვეთრი გადიდება ფედერალურ ბიუჯეტში. ნავარაუდევი 8,1 მილიარდი დოლარის ნაცვლად დეფიციტმა 1968 საფინანსო წელს შეიძლება მიაღწიოს 25-30 მილიარდ დოლარს.

განცხადებაში, რომელიც გამოაქვეყნა რესპუბლიკური პარტიის საკოორდინაციო კომიტეტმა, რომელშიც შედიან რესპუბლიკელთა ყოფილი კანდიდატები პრეზიდენტის პოსტზე, შტატების გუბერნატორები, პარტიის ლიდერები კონგრესის ორივე პალატაში და პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, როცა ადგენდა 1968 საფინანსო წლის ბიუჯეტს, ხელმძღვანელობდა „ოპტიმისტური ვარაუდით ნომიური პირობების შესახებ. ... — განაცხადეს რესპუბლიკელთა ლიდერებმა, — შეუძლია ... ამ მარტო გვიძღოლოს, რომ უარი ვთქვათ გადასახადების გადიდებაზე, რაც გათვალისწინებული იყო, არამედ აგრეთვე მოითხოვოს მათი შემცირებაც კი, რათა თავიდან ავიცილოთ უფრო სერიოზული ეკონომიური დაქვეითება“.

მას შემდეგ 22 წელი გავიდა

ბერლინ ბუნაგში მიერეკებოდნენ, და იგი ყოველ ბუჩქს, ყოველ ხეს, ყოველ ნანგრევს ებღაუჭებოდა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. ეს მისი სახლი იყო და საკუთარ თავს არ ზოგავდა. მანამდე კი, როცა სხვის მიწას თელავდა, პირზე ღიმილი უთამაშებდა და დასცინოდა სინდისსა და კაცთმოყვარეობას. მაშინ ის ძლიერი იყო და სწამდა, გამარჯვებულებს რომ არ სჯიან.

ახლა აღსასრული მოახლოებული იყო. იცოდა, პასუხს მოსთხოვდნენ. ამისი უფრო ეშინოდა. დაჭრილი მხეცივით საშაში და ცბიერი გახდა... ცნობებში კი ლაკონიურად ეწერა: სისხლისმღვრელი და მომქანცველი ბრძოლების შემდეგ... რამდენი წინააღმდეგობა დაძლევა იყო საჭირო, ვიდრე უკანასკნელ ნახტომს ბაკაეთებდი და ბუნაგში მოგუდავდი ურჩხულს...

უკანასკნელი ნახტომი — უჩვეულო სიჩუმე ქარიშხლის წინ. მოლოდინი რაღაც დიდის, განუსაზღვრელის. ქვემეხთა გუგუნმა შესძრა ცა და მიწა, უთვალავი ტანკი ცეცხლის ფრქვევით მიიწევდა წინ, პროფექტორების მკვეთრი სხივები მტერს აბრმავებდა... 1945 წლის 16 აპრილს, ბერლინის მისადგომებთან მძიმედ დაიჭრა ვვარდიის ლეიტენანტი, 120 მილიმეტრიან ნაღმსატყორცნთა ბატარიის მეთაური მიხეილ ლებანიძე.

იგი ბრძოლის ველზე დაეცა და ტკივილი არ უგრძვნია, სხეული მოეშვა, სადღაც უფსკრულში ჩაძირა რწევით. გულალმა იწვა, ირგვლივ კი ცა იყო, ხან ლურჯი, ხან შავი, ხან ვარსკვლავებით მოჭედილი, ხან ბურუსივით რძისფერი... „რა სიჩუმეა, ნუთუ გათავდა ყველაფერი“...

უღრეო დროს დაიკრა. კიდევ რამდენიმე დღეც, და ბერლინს აიღებდა, არ დასცალდა. განა მარტო მას? მაგრამ აქამდე რომ მოვიდნენ და შესაძლებელი გახდა ეს დღე, ეს გამარჯვება, განა მისი წვლილიც არ არის ამაში?

მას შემდეგ ოცდაორმა წელიწადმა გაიარა.

აი ის მაგიდასთან ზის და ჯოხზე დაუდვია ორივე ხელი. მუყვება, როგორ კვდებოდნენ ჯარისკაცები. თუმცა იცოდნენ, რომ წინ ცეცხლი იყო, მაინც წინ მიდიოდნენ და გაუნძრეველ ადამიანებს ტოვებდნენ უკან. სხვა გზა არ იყო. ყველანი ამ გზით მიდიოდნენ, და თუ კვდებოდნენ, ეს შეიძლება აუცილებელიც იყო.

აი ის მაგიდასთან ზის და ორივე ხელი ჯოხზე უწყვია. ილიმება, მაგრამ თვალები არ უღიმის. მაშინ სიკვდილზე არავინ ფიქრობდა, ბრძოლის უამს არავის ახსენდება, მანამდე და შემდეგ იგონებენ ხოლმე. მას უბრალოდ ბედმა გაუღიმა. როცა ყუმბარა გასკდა, იგი ერთი ნაბიჯით უფრო შორს იდგა და ამიტომ გადარჩა, ამიტომ უჭირავს ახლა ჯოხი და სიარულისას ეყრდნობა...

მაშინ ომისა და ვიზლაკის იცოდა რა. ერთი პატარა სოფელი რაჰაში, სახელად კვაშხეთი ფეზშიშელი ბავშვობა და ქვეყითა და ბელტებით დაგუბებულ ღელეში ჭყუმპალაობა დილიდან საღამომდე. შეუმჩნევლად მოვიდა ყრმობა... პირველი ღინღლი საუღვაშეზე.

შემდეგ დიდი ქალაქი, სწავლა და შრომა. ომმა შუა ამიანში მოუსწრო. იქ გადიოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს, იქვე მიავლინეს ოფიცერთა სასწავლებელში. პირველი დღეებიდანვე ვერ ჩაება ბრძოლებში. ბრძანება ბრძანებაა, და ხან სად მსახურობდა, ხან სად. მისი დროც მოვიდა.

— ვერ ვისვენებდი, რომ ომის პირველ დღეებიდანვე ფრონტის ხაზზე არ გამგზავნეს — მითხრა მ. ლებანიძემ.

ნაღმსატყორცნთა ბატარიის ოფიცერის მეთაური, გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი მიხეილ ლებანიძე პოლონეთში ქალაქ კოველთან შეხვდა პირისპირ მტერს. ფაშისტები მაღლობზე გამაგრებულიყვნენ. ღამით დაიწყო შეტევა და განთიადისას გაარღვიეს თავდაცვითი ზღუდეები ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარებმა. დივიზიას, რომლის შემადგენლობაშიც მ. ლებანიძე იბრძოდა, მდინარე ვისლა უნდა გადაელახა, დაეკავებინა პლაცდარმი და შეენარჩუნებინა იგი. 18 დღეღამე შეუჩერებლივ წინ მიიწევდა დივიზია. 18 დღეღამე ცეცხლით იკვლევდა გზას ყოველი მებრძოლი, ათეული, ასეული... ერთ-ერთ ბრძოლისას მტრის 25 ავტომანქანა მოსპეს მიხეილ ლებანიძის ნაღმმტყორცნელებმა...

უკან რჩებოდა სისხლიანი კილომეტრები. ათავისუფლებდნენ ქალაქებსა და სოფლებს. ი. ვისლაც ვარშავის სამხრეთით. მებრძოლებმა ტიავები შეკრეს, 120-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნები და საბრძოლო საჭიროველი დატვირთა ოცეულმა. ცურვით შეაყვნენ კილომეტრამდე სიგანის მდინარეს. ბევრნი ვერ გავიდნენ მეორე ნაპირზე. ოცეულმა მდინარე გადალახა და იმ წამსვე ჩაება ბრძოლაში. პოლკი უკვე პლაცდარმს ჩახვიდებოდა და სულზე მიუსწრეს ნაღმმტყორცნელებმა, მტრის ხუთი შეტევა მოიგერიეს, ვიდრე მთავარი ძალები გადმოვიდოდნენ მდინარეზე.

მტერს სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ. იგი გამგზავნეს ვერ ასწრებდა. პოლონეთის განთავისუფლებისათვის სასტიკი ბრძოლები იმართებოდა ჰიტლერის ეგრეთწოდებულ „სიმაგრეებთან“, რომლებადაც მან თითქმის ყველა ქალაქი გადააქცია.

ოდერი, უკანასკნელი ზღუდე ბერლინისაკენ მიმავალ გზაზე. ყოველ მტკაველ მიწას ებღაუჭებოდნენ ფაშისტები. რამდენი კონტრიერიში მოიტანა მტერმა, მაგრამ ვერაფერი შეაჩერებდა საბჭოთა მეომრებს. აქაც სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა პლაცდარმებისათვის, მაგრამ ვერც ერთი ვერ დაიბრუნა მტერმა. თანდათანობით მეთოდურად ფართოვდებოდა პლაცდარმები. აქედან, სწორედ აქედან უნდა დაწყებულიყო უკანასკნელი ნახტომი, რომელიც ბოლოს მოუღებდა ფაშიზმს.

და აი დაიწყო გენერალური შტურმი. საბჭოთა ჯარებმა გაარღვიეს მტრის მიერ წლობით გამაგრებული თავდაცვითი ხაზები. წინ ბერლინი იყო. სწორედ ამ დღეს, 16 აპრილს, ბერლინის მისადგომებთან, სოფელ ზაქსენდორფში დაიჭრა მხეილ ლებანიძე, მისი ბატარეა კი ბერლინისაკენ მიიწევდა.

ძალიან მნიშვნელოვანი და ისტორიული ოპერაციების მოწმე და მონაწილეა მიხეილ ლებანიძე.

ტურისტული მატარებლით

გმადლობთ, მასპინძლობისათვის!

ტურისტულ - თეატრალური მატარებელი „შოთა რუსთაველი“ გუშინ ბათუმიდან მოვიდა. მან ქედის რაიონიდან თან ჩამოიყვანა ამ რაიონის კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენელნი.

ქედელმა მშრომელებმა გულდასმით დათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი, საღამოს თბილისის ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ნახეს ოპერა „ქეთო და კოტე“.

გულთბილი შეხვედრა მოგვიწყეს თბილისელებმა. ქედელთაგან ზოგს კარგა ხანია არ ენახა დედაქალაქი და როგორ სახალმოვნო იყო მათთვის, როცა ახალ უბნებს, კვარტალებს, ქუჩებსა და მოედნებს ათვალიერებდნენ. განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება დატოვა თბილისის ახალმშენებლობებმა, მტკვრის სანაპიროებმა, მეტროპოლიტენმა, ისტორიულმა ადგილებმა.

შთაბეჭდილებები დიდია, დიდია ჩვენი სიხარული, დედაქალაქის ხელმაზით გამოწვეული. მზიური აჭარის მშრომელებს გვახარებს და შრომაში გვახალისებს ჩვენი დედაქალაქის წინსვლა, თბილისელთა წარმატება. არც ჩვენი რაიონის მშრომელები ჩამორჩებიან საერთო საქმეში.

მოხარული ვართ დედაქალაქს ვუპატაკოთ, რომ ხუთწლედის პირველი წელი ჩვენი რაიონის მშრომელებმა წარმატებით დაამთავრეს. გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების და დამზადების გეგმები. რაიონის ბევრმა კოლმეურნემ ისახელა თავი შრომაში. ესენი არიან ლ. ჩხუბაძე, მ. ჩიკვაიძე, ლ. შარაძე, ი. ნიგლაძე, ა. ბოლქვაძე და სხვ.

საიუბილეო წელს უფრო გადიდებული ვალდებულებანი ვიკისრეთ. სახელმწიფოს მივყიდით 700 ტონა თამბაქოს, 480 ტონა ჩაის ფოთოლს, 1.400 ტონა ხილს და სხვ. ვალდებულებათა შესრულებისათვის მოელი ძალით გაჩაღდა შრომა. არის პირველი წარმატებანი. მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები გადაჭარბებით შესრულდა.

გმადლობთ, თბილისელო მშრომელებო, გულითადი მასპინძლობისათვის!

ა. თავდგირიძე,
ქედის მშრომელთა დეპუტატების რაიონის მბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

• • •

სურათზე: ქედის რაიონის მშრომელები თბილისში.

ოთხი გამარჯვებული

სახალხო თეატრების ფესტივალის შედეგები

დამთავრდა საქართველოს სსრ სახალხო თეატრების რესპუბლიკური ფესტივალი, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი. 22 დღის განმავლობაში თბილისის მაყურებელმა ნახა 23 სახალხო თეატრის თითო სპექტაკლი.

ახლა, როცა შეჯამდა ფესტივალის შედეგები, ბევრი რამ საგულისხმო და დასაფიქრებელი გამოჩნდა. აშკარა გახდა, რომ სახალხო თეატრები სწორ გზაზე დგანან, შემოქმედებითად იზრდებიან და აღმავლობის გზით მიდიან. ფესტივალის ჟიურიმ პირველი ხარისხის დიპლომები მიანიჭა და მოსკოვის სცენაზე წარსადგენად რეკომენდაცია მისცა ცხინვალის სახალხო თეატრის სპექტაკლს — მ. ხუნწარიას „ტეხურის პირას“, ბოლნისის სახალხო თეატრის სპექტაკლს — პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებას“ და თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრის სპექტაკლს — ვ. დარასელის „კიბეზიძეს“.

ცხინვალის რაიონის თეატრალური ტრადიციები საკმაოდ ძველია. საკმარისია ითქვას, რომ ეს ტრადიციები დაკავშირებულია ქართული სცენის ცნობილ მოღვაწეებთან და მის კორიფეებთან — შალვა დადიანთან, ვალერიან გუნიასთან და აკაკი ხორავასთან. ცხინვალის სახალხო თეატრი, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კ. კალანდაძე, ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა.

თეატრმა ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინათ გამოავლინა ადგილობრივი ახალგაზრდა დრამატურგი მურმან ხუნწარია, რომლის პიესებმა „ნათელი თვალით“ და „ოკეანდაკვალ“ წარმატება მოუტანა თეატრს. ეს მტკიცე შემოქმედებითი კავშირი დრამატურგსა და თეატრს შორის დღემდე გრძელდება, და აი მისი ნაყოფიც: თეატრმა წარმოადგინა ამჟამ ავტორის ახალი პიესა „ტეხურის პირას“, რომელშიც ასახულია საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში. სპექტაკლის დამდგმელია კ. კალანდაძე, მხატვარია დ. ბარქაია, მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ შ. მიღორავას. სპექტაკლი მომზიბველია თავისი მონუმენტურობით, სიმართლით. ასეთი რელიეფური ფონი მას მისცეს არა მარტო სპექტაკლის ავტორებმა, არამედ მსახიობთა შესრულებამაც. მწყობრი ანსამბლიდან შეუძლებელია არ გამოვყოთ ბ. არჩაია (გუდუ), შ. შარავიძე (მაიორი ზუსბაია), გ. ჯავახია (ცირა), ლ. ჯალაღონია (ავთო ლატარია), ნ. დადიანი (ეკა), ბ. ბოჯგუა (მიხა ცხაკაია).

ფესტივალის სიურპრიზი იყო ბოლნისის სახალხო თეატრის სპექტაკლი — პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“. ცეცი თეატრალური ტრადიცია როდი აქვს ბოლნისს. ეს საუკეთესო ტრადიცია დანერგა აქ მ. მგალობლიშვილმა, რომლის მიერ შექმნილი თეატრალური კოლექტივის ბაზაზე სახალხო თეატრი აღმოცენდა.

და აი თავდადებული და ერთსულოვანი შრომის შედეგად ხელახლა დაიწყო „კოლმეურნის ქორწინების“ ცხოვრება. რაღა დასამალავია, გ. მაგულიძის ბრწყინვალე ხარტონის შემდეგ ყველა გაურბოდა „კოლმეურნის ქორწინების“ დადგმას. თეატრმა ახალი, თანამედროვე თვალით წაიკითხა ეს პიესა და შესანიშნავი სპექტაკლი შექმნა. იგი მნიშვნელოვანია არა მარტო რეჟისორული გადაწყვეტით, გონებამახვილური მიზანსცენებით თუ ჯანსაღი იუმორით, არამედ აქტიორული შესრულებითაც, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებიან ვ. შეყილაძე (სახული) და ნ. გაფრინდაშვილი (მანუჩარი), ვ. მახელიძე (ხარტონი) და გ. ყავლაშვილი (ჯამლეთი), მ. გაბიძაშვილი (ლომკაცა) და თ. თაბაგარი (კაკალა), ბ. ენდელაძე (ვატა) და ვ. კავთელაძე (მეღორე).

რამდენიმე წელია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრს ხელმძღვანელობს თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი კ. მეავანაძე. სტუდენტთა თეატრში მან წარმატებით განახორციელა ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“, კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“, პ. კაკაბაძის „პაექრობა“ და სხვ. ამჯერად თეატრმა ფესტივალზე წარმოადგინა ვ. დარასელის „კიბეზიძე“, რომლის დამდგმელია კ. მეავანაძე, მხატვარი ჯ. ჭავჭანიძე, მუსიკალური გაფორმება კი ეკუთვნის პ. მახნაშვილს. ეს სპექტაკლი გამოირჩევა რევოლუციური რომანტიკით, ვაკაცური შემართებით და ტემპერამენტით, რომლითაც ასე იყო გამსჭვალული კიკვიძის დიდებული თვითეული მებრძოლი. სპექტაკლშიც ასეა წარმოდგენილი თვითონ კიკვიძე, რომლის როლს საუკეთესოდ განასახიერებს სტუდენტი ა. ჯვარელი. კიკვიძეს მხარს უმშვენებენ ასეთივე სულისკვეთების თანამებრძოლები, რომელთა დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს რ. ჩიჩუამ (მეფოვსკი), ი. ზარიშვილმა (გრიშუტკა), დ. მეგრელიშვილმა (ტიტიკო), გ. თავბერიძემ (მანანა) და სხვ. სტუდენტთა თეატრს ქალთა ძლიერი კოლექტივი ჰყავს. მათი ნიჭი თავს იჩენს ყოველ წარმოდგენაში. ასეა ამ სპექტაკლშიც: კარგები იყვნენ თავიანთ როლებში ზ. ბონიაშვილი (პრასკოვია), მ. ლორთქიფანიძე (მართა) და ნ. ყვირილიანი (კაზაკი ქალი).

ჟიურიმ პირველი დიპლომი მიანიჭა აგრეთვე ლაბოდეხის სახალხო თეატრს.

თბილისელებს უყვართ ლაგოდეხის სახალხო თეატრი. ეს უპრეტენზიო, მაგრამ უდავოდ ნიჭიერი კოლექტივი თავისი მართალი და გულწრფელი სპექტაკლებით ყოველთვის ნიბლავს დედაქალაქის მაყურებელს. ა. სამსონის უაღრესად სადღეისო პიესა — „ჩემი შვილი სიმონი“ კარგად „მოერგო“ ამ კოლექტივს და აკი შესანიშნავი სახეებიც შექმნეს გ. ჯიბლაძემ (სიმონი), მ. თანდაშვილმა (მამა), ე. ზარიანცმა (დედა), ვ. თანდაშვილმა (მეზობელი), ო. ზედელაშვილმა (ნოდარ), ს. თურმანიძემ (თალიკო) კ. ლურსმანაშვილმა (ლალი) და სხვ. ერთი სიტყვით, სპექტაკლის ავტორებმა — დამდგმელმა ვ. თანდაშვილმა, მხატვარმა რ. სანაძემ და კომპოზიტორმა მ. ჩირინაშვილმა უაღრესად გამართული და დახვეწილი სპექტაკლი გვაჩვენეს, რომელიც მაყურებელთა მეხსიერებაში დიდხანს დარჩება.

მოკლედ დაახლოებით ასეთია შედეგები. რასაკვირველია, ამ ფესტივალს ხარვეზებიც ახლდა, მაგრამ ისინი უმნიშვნელო იყო და მერთალია ჩანდა.

ვალერიან კანდელაკი,
აკაკი დევიძე.
ფესტივალის ჟიურის წევრები.

• • •

სურათებზე: სცენები სპექტაკლებიდან (მარცხნივ ქვემოთ) — „ტეხურის პირას“, მარცხნიდან მეორე მხა ცხაკაია — პ. ბოჯგუა; (მარჯვნივ, ზემოდან ქვემოთ) — „კოლმეურნის ქორწინება“, „შუაში ხარტონი — ვ. მახელიძე; „კიკვიძე“, კიკვიძე — ა. ჭვარელი (მარჯვნივ) და შილინი — ჯ. ჭავჭანიძე; „ჩემი შვილი სიმონი“, სევასტი — მ. თანდაშვილი (მარცხნივ) და სიმონი — გ. ჯიბლაძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა და მ. ბიბოლაისა.

ს. ნ. კაკაბაძე



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 80 წლისა, გარდაიცვალა „ქართული საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი ღვაწლმოსილი და ნაპირნახულევი წარმომადგენელი პროფესორი **სარგის ნესტორის-ძე კაკაბაძე.**

სარგის კაკაბაძე დაიბადა 1886 წ. ს. კუხში (წულუკიძის რ.). ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1905 წ.) იგი სწავლობდა ვენის უნივერსიტეტში (1905-1907 წწ.), შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში, რომლის კურსი 1910 წელს დაამთავრა. ჩრდილოეთში მისმა სიტაბუქემ განვლო ცნობილი ქართველმცოდნეების ალ. ცაგარლის, ნ. მარის, ი. ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძის მეცნიერულ გარემოცვაში.

თბილისში დაიწყო ახალგაზრდა ს. კაკაბაძის დამოუკიდებელი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობა და იგი არ შეწყვეტილა თითქმის ექვსი ათეული წლის მანძილზე. ახალგაზრდა მეცნიერი დაძაბულად და დაუღალავად ეძიებდა საქართველოს მაშინ კიდევ ჩამოუყალიბებელი ისტორიის შესაქმნელად საჭირო მასალებსა და ფაქტებს. მხარში ედგა დიდ შემოქმედებით მუშაობაში ე. თაყაიშვილს, მ. ჯანაშვილს, თ. ჟორდანიას, ი. აბულაძეს და მათ საქმეთა გამგრძელებლებს საისტორიო ძიებებში, დიპლომატიკის, არქეოგრაფიის, ტექსტოლოგიის, პუბლიკაციის დარგებში. ს. კაკაბაძე წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მის მიერვე ჩამოყალიბებულ საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივს (1921-1926 წ.წ.). 1924-1934 წ.წ. იგი სიძველეთა დაცვის ხელმძღვანელია. უთვალავი საისტორიო ძეგლი, ძვირფასი სამუზეუმო ნივთი, ნუმიზმატიკური ფაქტი გადაურჩენია დაღუპვისაგან მეცნიერ ორგანიზატორს.

ს. კაკაბაძის მდიდარ ნაბეჭდ პროდუქციაში (300-მდე ნაბეჭდი შრომა) ირიცხება, კერძოდ, „ისტორიული საბუთები“, წწ. I-IV (1913 წ.) „დასავლეთი საქართველოს საეკლესიო საბუთები“, წწ. I-II (1921 წ.).

ს. კაკაბაძის მიერ გამოცემული დოკუმენტური მასალები (სიგელ-გუჯრები, მეიცავენ ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ურთიერთის გამოსახულებას. ... ...